საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

978-03-2-201603181611

N 03/978
18/03/2016

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 75
თარიღი: 21 03 2016 წ.

საქარველოს რეფორმების ასოციაციას

თქვენი, მიმდინარე წლის 8 იანვრის #2 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად 2015 წლის I-IV კვარტალების ჯამურმა, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ ენერგეტიკის სფეროში შეადგინა 89 881 400 აშშ დოლარი. ამასთან გაცნობებთ, რომ ეს არის პირველადი მონაცემები და 2015 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დაკორექტირება 2016 წლის აგვისტოს თვეში. მაგალითისთვის, 2014 წლის მონაცემები დაკორექტირების შემდეგ ორჯერ გაიზარდა. ასევე გაცნობებთ, რომ ენერგეტიკულ სექტორში შემავალი კომპანიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2015 წლის I-IV კვარტლების მონაცემებით, ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული ფინანსები ენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების განხორციელების მიზნით შეადგენს დაახლოებით 82 მლნ. აშშ დოლარს.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში სამხრეთ კავკასიის მილსადენის სისტემის გაფართოების ფარგლებში 2015 წელს განხორციელდა 556 177 000 აშშ დოლარის ინვესტიცია. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიცია აისახება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს და კომპანიას "BP საქართველოში".

ილია ელოშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2: ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge